საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 8 23 0000661249

08/06/2023

მოქალაქე ლიზი ქურდაძე
ელ ფოსტა: foi+request-2692-737678ca@askgov.ge

ქალბატონო ლიზი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილ თქვენს განცხადებასთან (სამინისტროში რეგისტრაციის N586954; 24.05.2023) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლებისა და ა სევე „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დანართის სახით წარმოგიდგენთ საქართველოს მასშტაბით იმ საჯარო სკოლების რაოდენობას სადაც ფსიქოლოგია წარმოდგენილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებასა და შესაბამის დასკვნაში აღწერილია მოსწავლის შესაძლებლობები, გაწერილია რეკომენდაციები სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით, ასევე განსაზღვრულია სჭირდება თუ არა მოსწავლეს დამატებითი სპეციალისტი, მათ შორის ფსიქოლოგი, დასკვნა მიეწოდება სკოლას, რის შემდეგაც სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნას.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საჯარო სკოლის ფსიქოლოგების გარდა, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში ფუნქციონირებს ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი (სამმართველო), რომლის ფსიქოლოგებიც ქვეყნის მასშტაბით, ფსიქოსოციალურ მომსახურებას სთავაზობს საგანმანათლებლო დაწესებულების ქცევითი და ემოციური სირთულეების მქონე მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და კანონიერ წარმომადგენლებს. ცენტრი ქვეყნის განფენილობის გათვალისწინებით, შედგება 8 რეგიონული ცენტრისგან.

ამასთან, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 24 საათიანი ცხელი ხაზი, რომლის მიზანია დროული და დაუყოვნებელი ფსიქოლოგიური კონსულტაციის გაწევა, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში, მომსახურების მიმღებთათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. ასევე, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის საკონსულტაციო მომსახურების მიღების მიზნით, ფუნქციონირებს ვებ-გვერდი befriend.mes.gov.ge, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, სრული კონფიდენციალურობის დაცვით, ონლაინ ჩათის საშუალებით, მიიღოს კვალიფიციური ფსიქოლოგიური კონსულტაცია.
მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს კრიზისულ ინტერვენციებს მთელი საქართველოს მასშტაბით. ცენტრში დაკომპლექტებული მობილური ჯგუფი, კრიზისული სიტუაციის შემთხვევაში, ახორციელებს დაუყოვნებელ ვიზიტს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. დამტკიცებულია კრიზისული შემთხვევების მართვის პროტოკოლი, რომელიც განსაზღვრავს კრიზისის მართვის პროცესში ჩართული სუბიექტების კოორდინირებულად მუშაობის პრინციპებს, პროცედურებსა და უფლებამოსილებებს.
აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი)
საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის
ფუნქციათა შემსრულებელი
ნათია ლომთაძე